

595  
1901

N. IV

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ  
ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ 1901

## ულრნალ „ჯეჯილისა“

83-

|      |  |    |
|------|--|----|
| I    | ქრისტე აღდგა ლექსი — ბაჩნას . . . . .  | 3  |
| II   | ობოლი მოთხრობა — დ. თომაშვილის . . . . .                                       | 9  |
| III  | პატარა მათხოვარი (თარგმანი) — ხ. ყაფანისა . . . . .                            | 23 |
| IV   | ლიკიის მკეიდრნი (ოეიდიუსიდან) ა. უშმისონვალისა . . . . .                       | 25 |
| V    | გაზაფხული და საპურობილე (ლექსი) — ღურუ-მეგრელისა . . . . .                     | 28 |
| VI   | ძალლი და კატა — გახ-იმერლისა . . . . .   | 30 |
| VII  | ლელი ჯენ. მოთხრობა, გაერძელება (თარგმანი) — ქ. წერეთლისა . . . . .             | 31 |
| VIII | მოსწრებული პასუხი — ბეს. გამაქესი . . . . .                                    | 48 |
| IX   | ორი შეილი (ლეგენდა) — იანელი წ. ლისა . . . . .                                 | 50 |
| X    | წერილმანი: აკროსტიხი, ანდეზები, ჩქარა გამოსათქმელი, გამოცანები და სხვ. . . . . | 63 |

თანხმათ მათი ყოვლად ლსამღვდელოესობის საქართველოს ეკზარქისის დამტკიცებისა, თაფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართველი საყმაწვილო ულრნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.



ამ ნომერით ერთთ კეზავნება სელის მომწოდების ქაგჟარისის თღაქის სამოსწავლო რჩევის გადაწყვეტილების განცხადება.





კურნალი

იზარდე, მწერე პეპილო.  
დაპერდი, გახდი უანაო!..

o. ღ.

№ IV

ველიცალი გეთორევე



ტვილისი

სრამბა ქ. ქ. თორინიანცისა, № 41 | თუ. თ. მ. როტინიანცა, იო. ირ. № 41  
1901



---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Апрѣля 1901 г.

---

## ქრისტე აღდგა!

### I



ეძვიდე ქვირა თავდება,  
რაც გიგო არის სნეული;  
ბალიშზე მისვენებულა  
არაქათ გამოლეული.

ნაირნაირი ჟყავილი  
და ანოს მოუტანია  
და მმის ლოგინი იმითა  
საამოთ მოუფენია.

თითონც იქავე დამჯდარა,  
მამიას ეფოფინება;  
სან პირთხნ ით, სან სელოთან  
სელებით ქარტინება...

— სვალე კი აღდგომა არის  
ქრისტე — მაცხოვის ბრწეინვალე;  
ან ავათშეოუი რადღაა  
ქვეწათ, ან გულით მტირალე?



କୁମିତ କେନ୍ଦ୍ର ପ୍ରେସ୍‌ରେ ପ୍ରକାଶିତ  
ଗୀତା, ପ୍ରେସ୍‌ର ଲେଖକଙ୍କ ଲାଭପୂର୍ଣ୍ଣ;  
ମାଧ୍ୟମରେ, ଏହା ମରାଗାନରେ  
ଜୀବ ଲାଭ, ବ୍ୟାକରିତାର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ.

ଜୀବିଳି ଓ ଜୀବିଳି ମିଳି ମରାଗାନି,  
ରାଗାନରେ ଅରାଧୀନି ରାଜି ନିର୍ବିଳା;  
ରାଗାନରେ ଲାଭିଲେ ପ୍ରକାଶିତ  
ରାଜା ମୁଦ୍ରାକ୍ଷେତ୍ରରେ ନିର୍ବିଳା.  
କାନ୍ତିମାନ ଅରିଲି, ମିଳି ମରାଗାନ  
କ୍ଷେତ୍ରର ବାକୀର୍ଯ୍ୟର ପ୍ରକାଶ,  
ଜିତନ୍ତରାନିର୍ମାଣ କରିଲାମି  
ପ୍ରକାଶିତ ଏହା ପାଦପାଦିରା.

ଦାଵାକ୍ଷେତ୍ରର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ,  
ପ୍ରକାଶିତ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ  
ରାଜା କାନ୍ତିମାନର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ  
ପାଦପାଦିରା ପରିପୂର୍ଣ୍ଣ.

ମରାଗାନ, ଏହା ମରାଗାନ, ପରିପୂର୍ଣ୍ଣ  
ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ଦାଵାକ୍ଷେତ୍ରର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ,  
କାନ୍ତିମାନ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ମରାଗାନ.

ରାଜାର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ  
ରାଜାର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ  
କାନ୍ତିମାନର ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ  
ମରାଗାନ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ ପରିପୂର୍ଣ୍ଣ;

ბევრი თქმა, ბევრი და ბოლოს  
ათავებს: «დაღოუფილობო;  
ნუ დაგვწავ, ჩვენაც მოგვედე,  
ქვეყნისთვის წამეტელოთ».  
ავთმუოვს უსრა: «ძირჩები,  
ნუ გემინიან, შეიღოთ».

## II

იმ დამეს გიგომ სიზმარში  
ხმა გაიგონა აძვრათ:  
«ქრისტე მოდისო, შენაცა  
გამოეგებუ, ჰატარავ».

გრძელდებს: სოფლის ბოლოდან  
უსხლოვდება ნათელი:  
ოუსო მოდის და სასე  
უბრწებინავს, როგორც სანთელი.

იქთ და აქთ მხარესა  
უდგანან ან გეღონები  
და «ქრისტე აღდგას» ჰგაბლობენ,  
ვითარცა სირინეზები.

ტურფა სასით და სმებითა  
თვალი და გულ წარტაცებული,

უთქმელ გრძნობებით მოცულა  
ნატარა აღტაცებული.

მაცხოვრის შესაცემებლათ  
სალისი გამოდის მრავალი,  
და კვავილებით მოქრთავს  
იმისი გამოსაყალი.

ას, ობგვარათ ჸსურს ავათმეოვს,  
ორმ ჭირი არ ერეოდეს  
და ქსეც ის კონებით  
იმ სალიში გაერეოდეს!  
თვალს არ ამორებს იქსოს,  
იწევს და ფეხზე პურ დგება.  
უფალი სალისის მღლიულელი  
ამათ სასილი უძლიოვდება.

წამი... და ჸედც მოადგა,  
ოთახის კარი გაიღო;  
გიგო მიწწვდ და იისა  
კონები სელში აიღო.

მშერდ და ტებილი უფალი  
წუნარათ შემოდის შიგნითა  
და ჩუქსთ ან გეღონები  
უდგია აქეთ-იქითა.

სწეულმა წამოიწია,  
ქრისტეს წინ ია გამხლა,

მერე დაწელ ტორტმანი,  
რაც დონე ჰქონდა და ძაღა,  
წამოჯდა; მერე მესდოსედც  
უნდოდა დადგომილიერ,  
და საფეხრელი უფლისა  
წინაშე დამსკობილიერ;

მაგრამ კერ შესძლო. ქრისტესა  
ცრუმლის ციმციმი დაუწეო;  
მოსწოდა, დაწეუდა, აკოცა,  
მერე დაღოცვა დაუწეო.

მდგომელის გამოუდვიმა  
ავათმეოდას კაცუაურებულსა;  
დედისაც გამოედვიმა  
ქხლოდა ჩაძინებულსა.


მმობელის ეპონა ემსწვილი  
სიცხეს თუ აიტაცხო;  
ფიცხლიაჭ აიწრა და იმს  
საჩქროთ სელი ჰტაცხო.

— «რათ ბდებ, ჩემთ სიცოცხლევ.  
ან ცედოთ სომ არ გახდიო?»  
— «არა, ქარგათ ვარ, გენაცვა,  
ნუ გუშინიან დედიო».

მერე უამბო, ვინც ნახა  
და როგორც მოაწინათ.

ଧୂର ମୃଖଦ୍ୱାରୀ ଧୂର  
 ମଦିନ୍ଦ୍ରି କାରୀର ଚିନ୍ଦର  
 ଧ ପାତା ମିଳର ମିଶରଙ୍ଗଦ୍ଵୀ  
 ମାଦନାନ୍ଦ ଅନ୍ଧଜ୍ଞାନିନ୍ଦର.  
  
 ନିଜରାଶି ମେଲାର୍ଜ ଲାଗ୍ଜିନ୍  
 ଗିରାର୍ଜ ନିଜ୍ଞବ୍ରତାନ ଜୀବତରା  
 ନିର୍ବାଦ ଲା «କୋରିବ୍ରତ ଅନ୍ଧବା!» ନେ  
 ମଦନାନ୍ଦ: «କ୍ଷେତ୍ରରିତରା!»

ବାହିନୀ,



## ო ბ ი ლ ი.

I.



გი ზუდამ სახე-დალერმილი, პირ-  
დაუბანელი და თმა-დაუეარცხნელი  
დადოოდა. ხელებზე, კისერზე, ყურის  
ძირებში და მთლათ პირისახეზე სქლათ  
გადაჰყეროდა მწვირის ქერქი. დაგლე-  
ჯილი შარელიდან ჭუჭყისაგან შავ-  
ლაქ გადაკრული მუხლის თავები მო-  
უჩანდა და ზედა ტანთსაცმელიც ისე დახეული ჰქონდა, რომ ზედ  
ბათმანი ცერცვი შეგვყარათ, ერთი მარცვალიც ძირს არ ჩამოვარ-  
დებოდა. მისი დანალელიანებული თვალები მუდამ ნამტირალებს  
ჰქავდენ და თითქო ყელას აცნობებდენ პატარა შიოს გაჭირებულ  
მდკომარეობას. უმამობა მაღვე დატყობიდა და უდედობას-კი კარ-  
გა ხანია წელში გაეწყეირა საბრალო ბავში. სასტიკი ბიძის ხელში  
ჩაგარდნილი მცირე-წლოვანი ისე უდროოთ მოდუნებულიყო, ისე  
ადრე დაბენავებულიყო, რომ მას ტოლებთან გათამაშებულსაც ძეი-  
რათ ნახაედით. როცა მისი ამხანაგები, სოფლის სკოლის მოწაფეები,  
ჰაერში ბურთს აბზრიალებდენ და თავიანთი ქიუილ-ხიუილით მთელი  
სოფლის სათემო მინდოორს იყლებდენ, როცა მისი ბიძაშვილი—პა-  
ტარა სარდიონი—ლამაზ ხალათში და ახალ წულებში გამოკიატავე-  
ბული ცასა და დედამიწას ევლებოდა, საბრალო შიო ტყავის სარტ-  
ყელში ცერებ-ჩაკვეხებული იდგა მოშორებით და ხან-და-ხან ნაძა-  
ლადევი სიცილი გადაუჩენდა ხოლმე სახეზე, როცა ბურთის თა-  
მშში რომელიმე ბავში წაიქცევოდა და მის ზურგზე მობურთავენი

გადაირბენ ჯერ. ამ ბედისაგან ამუებულ ბაეშს ტოლ-ამხანაგებიც ამუ-  
 ჩათ იგდებდენ. — ვინ ფეხს გამოჰქონდა და წააქცევდა და ამგარათ  
 მასზე ჭიდაობას სწავლობდა; ან, როცა შიო, სიტოტელისაგან და-  
 რცხენილი, ამხანაგებში გარევას ეერ ჰმედავდა და სადმე სკოლის  
 ფარდულში მიმჯდარი შჩეზე თბებოდა, უცბათ გამოუჩბენდა ხოლ-  
 მე რომელიმე ცელქი და ზე თავზე გადაახტებოდა!

უყელაზე უფრო აეათ ეპურობოდა მას მისიე ბიძაშვილი, რო-  
 მელიც შიოს ბიძისაგან უფროსათ ჰყავდა მიჩინალი, როგორც მართ-  
 ლა უფროსი ტანითა და ხნოვანებითაც. იგი სკოლაში ჩასაც უშვ  
 რებოდა ის იყო, და სახლში კიდევ მთლათ უთავებდა სულს. საბ-  
 რალო შიო ყველა ამაებს ითმენდა ხმა ამოულებლივ და ეერ ბე-  
 დავდა, რომ ეს თავის გაჭირება და დამტირება ამხანაგებისაგან მა-  
 სწავლებლისთვის გაემჭლავჩებია, რაუგან მერე უარესი მოელოდა:  
 როგორ თუ შენ გამედე და მასწავლებელთან გვიჩივლეთ.

სახლში სარდიონი ნამდეილი ბატონი იყო შიოსთვის. — თუ  
 წყალს მოატანინებდა და პირის ბანეის დროს თავზე დაიყენებდა; თუ  
 ფიჩქს მოაზიდებანებდა სალამოთა, რომ დილით ყევლაზე უმაღ ის  
 ამდგარიყო და, თუ სიცივე იყო, ცეცხლი გაეჩალებინა, თუ სამწყე-  
 საეთ გაგზაუნიდა და თეითონ-კი სათამაშოთ გასწევდა და სხვანი.  
 ნამეტნაეთ უმატა სარდიონმა ამ თავის ბატონობას და შიოს და-  
 ჩაგრას მას შემდეგ, რაც ერთხელ მასწავლებელმა სარდიონი და-  
 ტუქსა გაკეთილის უკოლინრობისთვის და სამაგალითოთ შიუთითა  
 შიოზე, რომელიც სკოლის მოწაფეთა შორის — სამოც შეგირდში —  
 ყველაზე უკეთესათ ითვლებოდა როგორც ნიჭით, აფრეთე ბეჯი-  
 თობით.

## II.

ერთხელ სკოლის მასწავლებელს და შიოს ბიძას — გრიგოლა  
 ქონდარაძეს — კარგა გვარიანი ლაპარაკი მოუეიდათ შიოს შესახებ.

— კაცო, დამანებე მე ეგ ბაეში! მაგას მე უქატრონებ, ჩავა-  
მევ, დაგახურავ, დაესუფთავებ და გამოვზრდი; ეგ ბაეში სწორეთ  
საბრალოა, ნიჭი ეტყობა, მარა ამ ნიჭს გახსნა ეჭირვება, განვითარე-  
ბა უნდა და ამისთვის-კი საჭიროა, რომ გარეშე მიზეზები ხელს არ  
უშლიდენო, ეუბნებოდა გრიგოლას მასწავლებელი.

გრიგოლამ ეს სიტუაციის თავის-თავის გალანძღათ მიიღო და  
მკვახეთ მიახალა მასწავლებელს:

— დაგანებო, რავა, უქატრონოა თუ?.. თავის შესაფერათ ქე  
აცვია და ახურავს და უფრო კარგათ, როცა თვითონ იშოგნის, მა-  
შინ ჩეიცვას!..

— ეგ მე შენთვის არ მითქვამს, რომ ბაეში უქატრონოა-თქო,  
მარა პატრონიკა და პატრონიც! მე მაგ ბაეშე გული შემტკიცა და  
შენზე უფრო უქატრონებ კიდეც! შენ რა ვენალელება ეგ რომ  
ჩემთან იყვეს? პირიქით, შენ კიდეც შევეძინება... .

— რა უნდა შემეძინოს? მე განა მავის რჩენა მიჭირს თუ?!. .

— არა! მაგას თავის მამისეული არჩენს! შენი რჩენა რათ უნ-  
და? მაგის საყოფი ყოველთვის მოვა ზედ; მაგრამ მე გეუბნები სწავ-  
ლის შესახებ... .

— რავა? არ ასტავლი თუ?.. თავის საყოფს აქანეიც ქე ისტავ-  
ლის, თუ რამე ხეირი აქვს, მარა.. არ ვიცი! შენ ქე გეთქეა ჩემი  
ბაეშისთვის—ამ შენ ბიძაშეილს უყურე, რავა კარგათ სტავლობსო,  
მარა მე მაგი არ მჯერავს! ჩემ ბოვშე უფრო მაგი რავა ისტავლის?..  
ჩემ ბოვშე უკეთესათ აცვია და ახურავს, უკეთესი შესახედავია, უფ-  
რო მარჯვეცა და მაგი რავა აჯობებს... . მამა მისი ვერ მჯობდა მე  
და ჩემს შეილს მისი შეილი როგორ წაუსწრებს? არა მგონია!..

— კაცო! რა უყუოთ მერე რომ აცვია? ეს კეთილი, მარა საქ-  
მე საცმელზე ხომ არა! არც მჯობნის მჯობნი დაილევაო, ნათქვა-  
მია, მარა ჩევენ ლაპარაკის საგანს გადავცდით კინალამ! კიდევ გეუბ-  
ნები, რომ კარგს იზამ, თუ ამ ბაეშს მე დამანებებ.

— კაია, უჩიტელო! გაწყვეტია სიტყვა გრიგოლამ, რომელმაც

ამ დროს გაიფიქრა: ამას რომ ეს ბაეში მართლა მიეცე, სახლში კაი ძალ საქმეებს მიკეთებს და მერე ჩაღა ვქნაო; ან—მართლა რომ გამოიზარდოს, ისწავლოს და ჩემ შეილზე უკეთესი გამოვიდეს—სირცხვილიაო.

— ურილობამ მაგ ბაეშის „აპეკუნათ“ მე ამომარჩია, მე ჩამაბარა ხელში და შენ მეუბნები დამანებეო, ამპა! მაგას ეერ ვიზამ! განაგრძო სიტყვა გრიგოლამ.

— „აპეკუნათ“, ესე იგი შენ უნდა იზრუნო მაგ ბაეშზე, სწავლება იქნება ის თუ სხვა რამე!..

— აკი ვჭრუნაე! აპა კლასში ტყუილა შამევიუეანე?.. ნიშნის მოყებით თქვა გრიგოლამ, რომელმაც შიო სასწავლებელში უფრო იმიტომ მიაბარა, რომ საზოგადოებამ არა თქვას—ობოლი უყურადლებოთ დატოვა და მის მამისეულს თავის ჭკუაზე ჰემარობსო.

— ამას იქით? შეეკითხა მასწავლებელი, — ამ სკოლის კურსს რომ დაასრულებს მერე?

— მერე თოხი და ბარი, წალდი და ნაჯახი ხელში! ეგაა ჩეენი საქმე!..

— უმჯობესია, გრიგოლ, მერწმუნე, რომ ეგ ბაეში, მე თუ არ დამანებებ, შენ მაინც გამოიზარდე სწავლაში; თავის მამისეული გაუყიდე და მოახმარე, შენი ხომ არა უნდა·რა?..

— ერიპა! ნასტავლი კაცი მაგას რაეა მეუბნები? მამისეული რომ გაუყიდო, წყლის მოტანილი ნერგი ხომ არა! მამა მისს, თუ მკითხავ, არც არაფერი უყიდია! მარა ძმა იყო და აპა რა მექნა? ეცოუხლებია თეარა მე არ ეთხოვდი! ახლა·კი...

„ულმერთო!“ ჩაილაპარაკა მასწავლებელმა და გულნატკენათ გასწია სკოლისკენ.

### III.

ამ მაიმუნის გულისთვის დღეს გვარიანი ლაპარაკი მომიერდა

უჩიტელთან და ი კაცი ქეც მოვიმღუნე! — ამ სიტყვებით შეეიღა გრიგოლა ქოჩდარაძე სახლში და მაშინვე შეუცუცხუნა შიოს: გასწია ჩეარა, დასალევი წყალი მომიტანეო.

შიომ დაუყოვნებლივ იოლო დოქი და წაერდა ბრძანების ახასრულებლათ.

— მაგისთანა ღლაპების გულისთვის კიდევ თაეი და გული უნდა იტკინოს კაცმა!

— რაო, რა იყო? რა მოხდა? შეეკითხა გრიგოლას ცნობის-მოყვარეობით გატაცებული ცოლი.

— რაო და — უჩიტელმა მითხრა: შიოს მე გამოეზღი და დამანებეო.

— მერე და უარი უთხარი?

— აპა რა! ქვეყანა რას იტყოდა, ძმისწული სამოწყალოთ გასცაო!..

— შენ რა გენალელებოდა მერე? ბაეში თუ გამეიზრდებოდა, ჩენთვისაც სასახელო იქნებოდა!..

— ერიპა! ქალის ჭკვა ეს არის! ოჰ, თუ იმ პირობით წეიყვანს ეინმე, რომ შემდეგ მამისეულს ალარ დაუწყებს პოტინს — კიდო შეიძლება... .

ამ დროს ატირებული შიო მოადგა კარებს. უკანასკნელი შარვლის ნაგლეჯი ტანთ ალარ ჰქონდა და ხელშიც დოქი აღარ ეჭირა.

— რა გატირებს? იქნება დოქი გატეხე?.. და აქ მობრძანდი კიდევ! მიაყეირა გრიგოლამ.

შიომ პასუხათ ზლუქუნს მოუმატა.

— წყლის მოტანა არ შეუძლია და სტავლაში გამოეზღიო, მეუნება უჩიტელი! ახირებული კაცია!..

— მე კი ასთე მითხრა — შენზე უკეთესათ სტავლობსო და შენც იმას წახედეო! შეხედე შარვალიც ქე დაუგლეჯია! ახალი უყიდეთ ვაფატონს! შეუჩინჩხალა სარდიონმა.

საბრალო ბაეში, როცა წყლით საესე დოქი ლობეზე გადმო-

ჰქონდა, ზედ ღობეზე გადმოეციდა, რადგანაც მის დაგლეჯილ შარ-ვალს ღობის სარი გამოედვა; სარის თავმა წევიშედაც მიუწია და შარელის უკანასკნელ ნაფლეთთან ერთათ წევის კანიც ჩამოახია. ბავშვს დოქტი ხელიდან გაუვარდა და მის ნამტვრევებს თეითონაც თავზე დაეცა. პატივცემულმა „აპეკუნმა“, მიუხედავათ იმისა, რომ ბავშვს წევიდან სისხლი მოდიოდა და თავისი ეყოფოდა, „გაუფრთხილებლობისთვის“ საბრალო შიომ კიდევ ხელი მოუთავა და სარდიონმაც ერთი მუჯლუგუნი უთავაზა გვერდებში. უკანასკნელი მაშინ უფრო გაბრაზდა შიომზე, როცა ამას მასწავლებელმა ახალი შარვალი და ლამაზი ხალათი აჩუქა მხა-მზარეულათ შეკერილი და კოხტა წულებიც ფეხთ ჩაცეა.

#### IV.

მაისის შუა რიცხვები იყო, რომ შეჰვერის ისეთი დღეები იღვა — მხიარული და გასხივოსნებული. ყოველი სულდგმული ჩაბმული იყო ბუნების დიად ფერხულში და ნეტარებას გრძნობდა. ბავშებსაც ისე აღარ ეჭარებოდათ სკოლაში სიარული, როგორც გაელილ თვეების ეინფლლიან ტაროსებში. ერთ შეენიერ დღეს ისინი ისხდენ კლასში და გულდასმით ისმენდენ გაკვეთილს. მოულოდნელათ ეზოს ჭიშკარი გაიღო და ეზოში ორი ცხენოსანი შემოვიდა. მოწავეებმა უცბათ იგრძნეს უცხო კაცებას მოსელა და თითქმის უველამ გარეთ დაიწყო ყურება. ამ გარემოებამ მასწავლებლის ყურადღებაც მიიპყრო. მან გაიხედა გარეთ და დაინახა სკოლების მეთვალყურე; მას თან ახლდა ერთი მასწავლებელი.

— აბა, ბავშებო, ყოჩალათ იყავით! თავი და თავი აზ შეშინდეთ! — უთხრა მასწავლებელმა ბავშებს და გაეგება სტუმრებს. ცოტა დასევნებას შემდეგ ბ. მეთვალყურე შევიდა კლასში. ბავშები ჯერ აიბუზენ, მარა მეთვალყურის ალერსიანმა სიტუებმა მალე გაათავამა ისინი. ბავშები. მართლაც ყოჩალათ დახვდენ, — ყველანი ერ-

თი მეორეს ეცილებოდენ პასუხს მისაცემათ, მაგრამ განსაკუთრებით ამ დღეს თავი იჩინა ერთმა შეგირდმა. არც ერთი კითხვა, მეთვალყურისაგან მოცემული, მას არ გასცდენია პასუხ-მიუცემლათ. გამხიარულებულმა მეთვალყურემ მას თავზე ხელი დაუსვა და „უონალო“ უთხრა, მაგრამ რომ შენიშნა ამ ბაეშის დაღონებული და რა-ლაც დაბერავებული სახე, ჰკითხა მასწავლებელს: რათ არის აგრეთ? — მაგის გარემოებას დაწერილებით შემდეგ მოგახსენებო, მიუ-გო მასწავლებელმა.

ჩინებული პასუხების მიღებით დაკმაყოფილებულმა მეთვალყურემ ბაეშებს დარიგება მისცა, დაურიგა მათ სამშობლო ენაზე დაწერილი თანვე წმოლებული სასარგებლო შინაარსით წიგნაკები და დაითხოვა შინ. ხოლო ერთი მათგანი, სახელობრი ის, რომელმაც ყველაზე უფრო იჩინა თავი, დაიტოვა სკოლაში. ეს ბაეში გახლდათ ობოლი შიო. როცა ბაეშები წაეიდენ, მასწავლებელმა დაწერილებით უამბო ბ. მეთვალყურეს შიოს თავგადასავალი, მისი ობლობა და აუტანელი მდგომარეობა.

— არ შეიძლება, რომ ეგ ბაეში მე წაეიყენო და შეილიგით გამოხარდო? მე, ხომ იყით, უშეილო კაცი ვარ და დევ ეგ იყოს ჩემი შეილი! როგორდაც ეგ ბაეში ნიჭიერ ბაეშათ მეჩენენა და თქვენ რას მეტყვით, მასწავლებელო? ამისთანავე მე სიბრალული გამიჩნდა მაგ ბაეშისაღმი და ეს სიბრალული, ვატყობ, სიყვარულათაც გადა-იქცევა.

— ძლიერ კეთილი საქმე იქნება! ეგ ამ ბაეშისთვის პირდაპირ ჯოჯონეთიდან გამოხსნა იქნება და მაგის ნიჭიერებისა და ბეჯიოთობაზე-კი მე მენდვეთ.

— ზენ რას მეტყვი, პატარა კაცი, შეეკითხა მეთვალყურე შიოს, რომელიც იქვე იდგა, მაგრამ შიოს, რომელსაც ამისთანა კაცი ჯერ ამის მეტათ არ ენახა, ამგვარ კითხვაზე პასუხის მიცემა აღარ შეეძლო, იგი მხოლოთ უკვირდებოდა მას და მთლათ ცქერათ იყო გა-დაქცეული.

— ჩაშ დაუუძახოთ „აპეკუნს“, თქეა მეთვალყურემ.

მაშინვე გაგზავნეს კაცი გრიგოლა ქონდარაძესთან. უკანასკნელი რამდენიმე წამის შემდევ ქუდ-მოხდილი იღვა მეთვალყურის წინ და მხოლოდ მხრების აწევით აძლევდა პასუხს მეთვალყურეს.

— მიირთეით, ბატონო, თქეა მან ბოლოს: თქვენისთანა „ჩინონიკს“ ბაეში რავა დევკავება? მარა როცა წამერდება, მამისეულს რომ დაუწყოს პოტინი, მაშინ რაღა ვქნა?..

— ხა, ხა, ხა, ხა! გულიანათ გაიცინა მეთვალყურემ: მამისეული მაგას რაღათ დაჭირდება?

— ეს კი, მარა მაინც ძალიან კარგს იწებებდით ბატონო „ჩინონიკო“, რომ ქალალდს დამიწერდეთ და მომცემდეთ, რომ ევ ბაეში მერე აღარაუერს მომთხოვს.

— მე ბაეშის მაგიერათ პირობებს ეერ ვავცემ, მარა გეუბნები, რომ შენ აღარაუერი მოგვეითხება, მამისეულიც შენა გქონდეს და ბაბუისეულიც! არ ენდობი ამ სიტყვას?

— რავა არ ვენდობი, ბატონო! აგერ „უჩიტელიც“ ხომ მოწამე!

გახარებულმა გრიგოლამ მაშინვე ჩააბარა მეთვალყურეს ბაეში და მხიარულათ გასწია შინისკენ. რომ მიეიღა, ცოლს ახარა: ბაეში „ჩინონიკმა“ წაიყვანა და მისი მამისეულობა მე დამიტუა, შენ გქონდესო.

## V.

ერთ თევს შემდევ პატარა შიო ისე გამოიცვალა, რომ ვეღარც-კი იცნობდით. ანლა ის იყო დაბანილ-დასუფთავებული, რიგზე თმა-შეკრეჭილი, ლამაზი ხალათი და კოტრა ჩექმები, რომელთა ხმარება პირეელ და პირეელ შიოს ქალამნის და უფრო-კი შიშველობის ნაჩევე უეხებს ძლიერ ეუცხოვათ, თუმცა შიო დიდის სიამონებით უგდებდა უუს მათ „პრაკი-პრუქს“ სიარულის დროს. შიოს თითქო სახეც გამოეც.

ვალაო,—უწინდელ დაბეჭიაებულ და სიცოცხლეს მოკლებულ სახის მაგივრათ, დღეს მისი სახე თან-და-თან სხვა ელექტრს ებულობდა და ნამდეილი ბავშური სიცოცხლის ბეჭედი, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ემზადებოდა ზედ. ის თუმცა ხან და-ხან ნალელიანთ გაიხსენებდა ხოლმე თავის სოფელს, რომელსაც დაბადებიდანეე შეჩეკედა, მასა როცა წარმოიდგენდა იმავე სოფელში გამოელილ საშინელ მწარე დღეებს, როდესაც თავის ახლანდელ მდგომარეობას ადარებდა უწინდელს, რაღაც გამოუთქმელი ნეტარებით იგონებდა ხოლმე იმ ბევრი დღეს, როცა ის, ისეთი ღეთიური მფარეველის წყალაბით, სამუდამოთ მოშორდა ჯოჯოხეთურ ტანჯვას...

— რითი შემიძლია გადაგიხალოთ ამდენი სიკეთე, რომელიც მე თქვენ მიყავით? თვალებზე მომდგარ ცრემლებით უთხრა ერთ-ხელ შიომ თავის მამობილს.

— სწავლით! და მხალოთ სწავლით!—მოკლეთ მიუგო მამობილმა და თავშე ხელი დაუსეა. მართლაც დრო მოეიდა და შიოც მიაბარეს ღემრაზიაში. მან თავის მამობილს ყოველივე იმედები გაუმართლა. კარგ პირობებში ჩაერწილი სოფელის ბიჭუელა დაუბრიკოლებლათ მიცურავდა სწავლაში. ბუნებრივათ ნიკიერი და ბეჯითი — ახლა კიდევ უფრო გაპეჯითდა, რითაც მოელი სასწავლებლის ყურადღებაც-კი მიაქცია. ამიტომ იგი სწავლის დასრულებას შემდეგ სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს უნივერსიტეტში.

## VI.

აგრე რამდენიმე წელიწადია, რაც შიო უნივერსიტეტში სწავლობს; ერთი წელიწადი კიდევ და — იგი ექიმი იქნება. „საიდან სადაო? — ჰუიქრაბს იგი: სად ვიყავი და სადა ვარ? რა უნდა ვყოფილები და რა ვარ?.. იქნება, და თითქმის უკეველათ, დედ-მამა რომ ცოცხალი მყოლოდა, მე ჩეენ სოფელს ვერ გაეცილდებოდი!.. „ზოგი კირი მარგებელიაო“, ნათქე:მია:



„ჯერ მწარე ჭამე, კულავ ტკბილი, თუ ეძებ გებოვნებასა, თავს სინანული სჯობიან ბოლოს ეამს დანანებასა“ -ო, უთქვამს ბრძენს და ეს სწორეთ ჩემზე ასრულდა. დალოცოს და გაამრავლოს ღმერთი-მა ქვეყნათ კეთილი კაცები! დღე და ღამე ოფლი უნდა მეღვარა და თავიც ვერ უნდა შემენახა!.. ეჭ! ბიძა ჩემი! გამისეულს მედავებოდა!—ღმერთმა მას მოახმაროს! თუ რამე შეეიძელი, პირიტით კიდევ მოვეხმარები, მაგრამ კიდევ ეს ერთი წელიწად!..

გაეიდა ეს ერთი წელიც და შიო, უკვე ექიმი, დაბრუნდა სა-მშობლოში. გამოუთქმელი სიხარულით ალსავსე მიეიდა იგი თავის კეთილ მამობილთან და გულ-აქეროლებული ეუბნებოდა: „რითი გადაგიხადო ამდენი სიკეთეო“.

უკვე შეხნიანებული მეთეალყურე არა ნაკლებ აღტაცებაში იყო მოსული.

— მე არაფერი არ გამისესხებია!—თქვა მან ბოლოს: მე მხო-ლოთ ემაღლობ ღმერთს, რომ შემაძლებია შენთვის ეგ სიკეთე მე-ყო!.. მე რა უნდა მინდოდეს ამის მეტი!.. მხოლოთ, თუ შეგხედეს, ცხოვრებაში შენც ჩემსავით მოიქეციო.

## VII.

შიო რეა წლისა იყო, როცა სოფლიდან წამოეიდა; ახლა იგი უკვე წეერ-ულვაშიანი ვაჟკაცი იყო და ამ ხნის განმაელობაში თა-ეის სოფელი ერთხელაც არ ენახა. არ ენახა აგრეთვე ბიძა, ბიძა-შეილი, თავისი ამხანაგები, რომლებთანაც სოფლის სკოლაში სწავ-ლობდა და ის კეთილი მასწავლებელი, რომელიც მას ამდენს მო-ეხმარა. კეირიკობის თევ იდგა. ზაფხული მთელი თავისი ძალით გა-მეფებულიყო. შიო სოფლისკენ გაემგზავრა. იგი ცხენით მიდიოდა, გზაში უკელავერს უკეირდებოდა, თვალს ადევ ებდა და იგონებდა თავის წარსულს. აი, აგერ გამოჩნდა სოფელიც, აგერ ის დიდი მინ-დორი, სადაც შიო ოდესმე საქონელს უდგა და აძოვებდა; ამ მინდე-

რის ნახევარი ახლა უკვე ყანათ იყო გადაქცეული. მინდერის ერთ კიდეში შიომ დაინახა ნაცნობი დიდი მუხა, თავის უზარ-მაზარ ტო-ტებით ცაში აღზიდული, რომლის ჩრდილშიაც ზაფხულის ცხელ დღეში საქონელი თავს იყრიდა და ეს-კი თავის ფოთლებს სიოს შე-ხებაზე ნაზათ არხევდა, თითქო მარაოს აქნეებს და საქონელს უგრი-ლებსო. აი; ნაცნობი რუ, რომელზედაც შიო ბორბლებს აბრუნებ-და და წისქელობს დვამდა, როცა დროის დაიხელოთებდა; იქ-კი, მოშო-რებით, გორაკზე მოჩანს თეთრი წერტილი, ცაცხეის ხეებში ჩამა-ლული, — ეს სოფლის ეკულესია და მის მანლობლათ კარგა მოზრ-დილი ხს სახლი, სადაც შიომ მიიღო პირელ-დაწყებითი სწავლა და რომელიც დაედეა საფუძვლათ მთელ მის ბეღნიერ მომავ-ლს. ულის ფანცალით უკვირდებადა შიო ყოველ ნაცნობ ხეს, გზას, ბილიკებს, ტყეებს, რომლებთანაც აკავშირებდა მას წარმოდგენა გა-ვლილი დროისა. აი, ის კიდეც მიუახლოვდა ბიძის ძეელ, მთლათ გამჭერტლულ სახლს, რომელიც ნახევრათ გადახდილი იყო, რად-გან სახურავს ეღალატნა. აგრე ნაცნობი წყაროც, აქევ ღობეზე გა-დასაბიჯი და მასთან შეერთებული წარმოდგენა გატეხილ დოქზე და მის შედეგებზე .. გაახსენდა უკელა ესეები შიოს და გული დაეთუ-ქა მწარი წარსულის მოვონებით.

შიომ შეიხედა ეზოში; არაეითარი ცელილება ამდენი ხნის გან-მავლობაში!.. სულ ერთი და იგივეობა! გარდა ერთი ხულისა, რო-მელიც გრიგოლას დაედგა შიოს ნაწილ ეზოში, ადგილის დაპატიო-ნების ნიშანათ. — ფიქრი იმაზე, თუ როგორ მიიღებდენ შიოს ნათე-სავები, იცნობდენ მას თუ ვერა და ან როგორ დახვდებოდენ ისი-ნი — ტანში აერტოლებდა მას. იგი მიუახლოვდა ჭიშკარს და დაიძა-ხა: „მასპინძელოო!“

გარეთ ვამოიხედა ახალგაზდა ქალმა, რომელიც შიოს ეუცხოვა — ვინ ბრძანდებით?

— არ შეიძლება დასალევი წყალი მოგეაწოდოთ?

— ახლავე, ბატონო!

କାଳି ଗାଢ଼ିରୁଣ୍ଡା ଚିପୁଲିଙ୍କ ମର୍ଦାତ୍ରିନାଟ ଲା ତାନ ତାର୍ଜନ୍ତେ ତାଙ୍ଗସାତ୍ରାରୀସ ବୈ-  
ଫିଲ୍ମରେ ଦିଲା. ଅଥ ଫରିଦା ଗ୍ରଂଥିକା ଗାମିନିନାଟ ଶ୍ରେଷ୍ଠ ତନ୍ତ୍ର-ଗାନ୍ଧେବିଲୁଙ୍କ କାପି,  
ରନ୍ଧରେଲୋଟି ବେ ବ୍ୟାନ—ଯାନିଦାନ ସାଧିଲୋକିଟିଗେଲି ବନ୍ଦିରୁଣ୍ଡରେ ଦିଲା.

— ତେବୁଲୁ! ବୀନ ଏହିବେ କି କ୍ଷେତ୍ରନାବାନି? ଶ୍ରେଷ୍ଠିତାରେ ବେଳି କାଲି.

— ଏ ବୀପି; ଚିପୁଲି ପିତରୁଙ୍ଗା,—କମା-ଦାବିଲାତ ଉତ୍ତରା କାଲିମା, ରନ୍ଧର  
ବୈଶିଷ୍ଟ୍ୟମାରୀ ଏ ଗାୟଗନ୍ତା.

— ହାମିନବରିଦାନିଦିଲ-ତକ୍ଷା, ବ୍ୟାର ଉତ୍ତରାରି?.. ହାମିନିକାନ୍ତିରେ ଗ୍ରଂଥି, ମେ  
ମାନାମଦିଲି କ୍ଷେତ୍ରରେ ଦେଖିବାନ, କରି କ୍ଷେତ୍ରର, ମତଳାତ ଗାନ୍ଧୀନିରାନ୍ତିରୁଣ୍ଡିଲି ବାର!..

ତେବୁଲୁମ ମର୍ଦାତ୍ରିନାଟ ମିଶ୍ରତାନ ବୈଶିଷ୍ଟ୍ୟମାରୀ ଚିପୁଲି, ବିନ-ଦା-ବିନ ଦିଲ-  
ଦିଲି ମର୍ଦାତାଦା, ଦ୍ୟାନିଗ୍ରହିନ୍ତେ ଲା ଦିଲିଲି ତକ୍ଷା, ତୁ ଶ୍ରେଷ୍ଠିଲେବିଦିଲେ  
ହାମିନବରିଦାନିଦିଲ ଗ୍ରଂଥି ଲା ମୁଖିଲି ଦ୍ୟାନିଗ୍ରହିନ୍ତେ.

ଶିରି ତିତିକ୍ଷିଲି ଏ ଶିରିପ୍ରାପ ଏଲାଇ କୁରିଦେବିଦା, ତେବାରା ଏଲା ରା-  
ଲା ଉଦଗା ହିନ?

ବେଳି ହାମିନା ଗ୍ରଂଥି, ହାମିନକ୍ରିଆ ପ୍ରେଣିଦାନ, ମିଳା ବେଳି କ୍ଷେତ୍ର, ଦାବିଚିପୁ  
କ୍ଷେତ୍ର-କ୍ଷେତ୍ର ପୁରୁଷବା ଲା ଗ୍ରଂଥି ତେବୁଲୁଙ୍ଗିରେବା.

— କାଲିର, ବୈଶିଷ୍ଟ୍ୟମାରୀ କ୍ଷ୍ଵାମି ମର୍ଦାତ୍ରେ! ଉତ୍ତରା ତେବୁଲୁଙ୍କ କାପି ଲା  
ତେବୁଲୁଙ୍କ-କ୍ଷେତ୍ର ମର୍ଦାତ୍ରେ ବୈଶିଷ୍ଟ୍ୟମାରୀ ମିଳାଗ୍ରେବିଲାତ.

— ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତିର ବାରିନି!

— ଗାମାରିଖାନି!

— ଶାରିଦାନ ମର୍ଦାତ୍ରେ କ୍ଷେତ୍ରିଦିଲ?

— କାଲାକ୍ଷିଦାନ. ନାମ୍ରତାନି ଶର୍ପକ୍ଷେତ୍ର ଦାକ୍ଷିତ୍ୟା ଲା ଶର୍ପକ୍ଷେତ୍ର ଗାୟିଲା  
ମର୍ଦାତ୍ରିନାଟା.

— ମାଲିନ କାରିଗାତ ଗିନ୍ଦେବିଦାତ, ବାରିନି.

— ତେବୁଲୁ ରା ଗ୍ରାମି ବାରି?

— ହୃଦୟ, ବାରିନି, ଶାରିଦାନ କାନ୍ଦାରାଙ୍ଗ ଗାଥିଲାଗାରି.

ଏହି! ମାତ୍ର ଶାରିଦାନ କିଲେପ ଦାକ୍ଷିତ୍ୟିକିଲେବିଲା ଲା ତେବୁଲୁ ପୁରୀ  
ବେଳି ଏମିଲି ପୁରୀ, ପିତରୁଙ୍ଗା ଶିରିମ. ଅଥ ଫରିଦା ତେବୁଲୁ କ୍ଷେତ୍ର କ୍ଷେତ୍ରରେ  
ଦାବିଦାନିଦିଲ, ମୁଖିଲି ଦ୍ୟାନିଗ୍ରହିନ୍ତେ! ମାରିତାଲିନ ପ୍ରେଣିଦା ବନ୍ଦିରୁଣ୍ଡରେ  
ଦେଖିବାନ, ମାରା ମାନିପ ଦାବିଲେବିଦାନିଦିଲ. ଉତ୍ତରା ଶିରି ଶାରିଦାନିଦିଲି

ცოლს მოაგონა თავისი მოვალეობა, რომ მას ხელათ სადილი შე-  
ემზადებინა.

-- ნუ აწუხებთ! მე სადილს ვერ მოეუკდი! ახლავე უნდა წა-  
ვიდე, თქვა შიომ და ის იყო სკამზე დაშეებას პირებდა, რომ სახ-  
ლიდან კენესა შემოესმა,

— იქ ვინა კენესის? იკითხა შიომ.

— მამაჩემი გახლავთ, ბატონი, აგერ ერთ თვეზე მეტია ლო-  
გინათაა ჩავარდნილი! საცდელი არაფერი დაგვიკლია,— მკითხავი,  
სოფლის აქიმები, ზეთის კურთხევა, მოკებელებათ ბატონი, სოფ-  
ლის ჩეეულება, მარა არაფერი გამოეიდა. თან-და-თან უარესათ ჰქდე-  
ბა! სრცეს უმატებს და ხან-და-ხან კიდევ ამოდებს.

შიოს გულს დანასაეით გაუარა ამ სიტყვებმა.

— წაერთო, ენახთ! იქნება რამე წააღვეს!..

— რავა, თქვენ „დოხტრურობა“ ხომ არ იკით?

— დიახ, მე ექიმი ვარ.

— ღმერთო! მომხედე და ესაა! წამოიძახა სარდიონმა.

შიო შევიდა სახლში, სადაც თავის ძეელ ნაცნობ ტახტზე მწო-  
ლარე დაინახა აეათმყოფი ბიძა.

— მასა! „დოხტრური!“ — ჩა! ძახა სარდიონმა მამას.


უკკე გაჭაღარებული გრიგოლა ქონდარაძე საშინელ სიცხეში  
იყო ჩავარდნილი და ზედ კიდევ საბნები ეხურა, არ გაგვიცივდეს!  
ისეთაც უსინათლო ქოხის კარები დაგდული იყო, რაც უფრო სურ ს  
უხუთავედა აეათმყოფს. ჰერის გასაწმენდათ შიომ საჩქაროთ გაალებინა  
კარები; აეათმყოფს გადახადა საბნები, რომლებიც საჭირო არ იყო და  
წყლით დასცელებული ტილოები შემოაფინა თავზე; სელი ტილო-  
თი ამოუწმინდა თეალები და აეათმყოფიც თითქო მოსულიერდათ.  
ამ დროს თეკლემ შემწვარი ქათამი და ცხელ-ცხელი მჭადები შე-  
მოალავა სუფრაზე და სარდიონმაც ხელადა ღვიძნა შემოდგა ზედ.

— დრო აღარ არის! აეათმყოფს ექიმობა უნდა! — თქვა შიომ: —  
როგორც მე მიყურეთ, ისე მოუარეთ ჩემ მოსელამდის და მეც მა-



ლე მოვალ. შიომ ფეხზე დალია ერთი ჭიქა ციფი ლეინო, საჩქაროთ მოახტა ცხენს და გაეშურა ქალაქისკენ წამლებზე. მეორე დღეს, წირვის დროზე, შიო უკვე თავს ადგა ბიძას და გულმოლგინეთ ექ - მობდა მას. ორ კურას შემდევ ვრძნობაზე მოსული და თითქმი; ნახვერათ გამომრთელებული მოხუცი ვრიგოლა თავის თვალებს აღარ უჯეროდა და სარდიონნაც სიზმარი ეყონა, როცა მათ მ გულ-კეთილ ექიმში გაიცენეს შიო, მათთვის ამ ფამათ მხსნელ ანგელო-ზათ მოვლენილი.

\* დ. თარმაშვილი.



## კატარა მათხოვარი.

(თარგმანი)



აღჩაში თამაშობდა ერთი ბავშვი. უცებ მო-  
ქვრია თვებლი, რომ დობესთხნ ვიდაც მა-  
თხოვარი-ბიჭი ატუწულდ და შევნივრათ  
გადაძლილ ვარდებსა და სისკ-და-სისკ ვა-  
კილებს შემოცემის. მივარდა გულ-მო-  
სული და დაუმკინდა:

— წაეთრიყ მანდედან, ჩვენ ევავი-  
ლებს რას უკარებ!

პატარა მათხოვარი სიანხსილით გაწითლდა და ის იქო  
ქმარვილს გალასხვას, უძირებდ მაგრამ ამ დროს მიიჭრა მათ-  
თან ერთი ლამაზი გოგონა. ჯერ თორივს შესედა და მერე  
მმას მოუმრუნდა:

— არა გრცეკენია, სიკო, რომ ამ საწეალ ბიჭს აგ-  
რე უჯავოდები? რას გიძაკებს იმითი, რომ ჩვენ ევავილებს  
უკარებს?

მერე მოუმრუნდა მათხოვარის და დასამშეკიდებლათ უთხრა:

— შენ ცოტა მომიცადე, მე ახლაც დაგიკრევ უჯავი-  
ლებსო; ამ სიტევებით შემორ ლამაზი ლინა და მოურბენინა  
პატარა ბიჭს.

საწელ მათხოვანს მაღიან გაეხარდა. მაღლობა გადა-  
უხდა ჩატარა ქადის და გასწია თავისითვის.

თორმეტ წელის შემდეგ, იმავე ბაღხაძი, სადილს-უკან,  
ერთი ქადი სეირნობდა თავისი ქმრით. დაინახა, რომ ვი-  
ღაც ახალგზად სედოსახი დგას ღობესთან მიუდევბული და  
სხვ იმათ შესცემის, სან უკავილებს. ქადის თავის ქმარს  
უთხრა:

— მაღიან მიამება სოლმე, როცა დავინახავ, რომ ვამჟ-  
ლელ-გძმომვლელები სულ იმ უკავილებს შემოუტერიან. მინ-  
და თ იმ პატა დაუშერიფო უკავილები, შენ რას იტევი?

ამ სიტყვებით მიკიდა ის სედოსახნთან და უთხრა:

— მგონია თქვენ ჩვენი უკავილები მოგწონთ! გინდათ,  
დაგიკრეცთ რაძღვნებენ?

სედოსახნმა ქადის შეხედა და აკანკალებული ხმით უნ-  
სუნა:

— სწორეთ თორმეტი წელიწადია, რაც ამავე ადგილს  
თქვენმა ტბილის სიტყვებმა სულ სხვა კაცით მაქვიცე! იმ  
დღიდან ავიდე სედი მათხოვრობაზე და სწავლას მიუმავი.  
რაც უნდა გატარებული ეფოუილებული, თქვენი სირდილობა-  
ნი და ტბილი სიტყვების მოგონებაზე გულიდან დარდი  
მეურებულდა. და რალი, მართლია მდიდარი არ ვარ, მაგრა  
ერთი ლუქმა ჰური მაქვს და ჩემი მრომითა ვცხოვრობ.

ამ წრიული ცელით წარმოთქმულ სიტყვებზე, მოღათ  
ადელვად ქადი და თვალებით ცრემლებ-მორეული გაბრუნდა  
სახლისკენ.

## ლიკის მეცნიერები.

(ოფიციალური)

**მ**იკის თვალი-უწყდენელ და სწორით დაფუნდილ ვაკების გადატიმულია დიდ მანძილზე ანგარა წელით სავსე ტბა. ტბის შეაგულის ამობურთულია პატარა კუნძული, რომლის მშენიერი მიღამო მაღალი და ასოვანი ლერწმის სექტითა დამვენებული. კუნძულის თვალისაჩინო ადგილის მოთავსებულია კორწია საკურთხეველი ელლინთა ღმერთის ლათონას სასოფლოთ.

ბერძნების ღმერთების მამათ-მთავრის ზექის მეუღლის ჰერასა და ლათონას მორის სირულიად უმნიშვნელო საგნის გამო დიდი უსიამოვნობა ჩამოვარდ. ჰერა მეტათ ავორთუებდა ლათონას. ლათონა თავისი ორი ჰაწია შვილით, არტემისია და პალლონით, იმულებული შეიქანდა დაეტყობინა სამშობლო დელოსი და სივრა ადგილის მოემებნა მეუღლით თავშესაფრით.

საფსულის გულის შესაზარი სიცეი დედმიწას ანაგურებდა, როგორ ლათონა ლიკის სასიღვრებს მიუხსლოვდა. ლიკის დაფუნდილ მინდვრებზე ლათონას უპირველეს უფლისა დაინახა ანგარა წელით სავსე ტბა, რომლის გარშემო ლიკიულები ლერწმის სექბს ჭრიდენ და ერთათ აგრძე-

კერძო. გზისაგან დაღლილ და დაქანცულთ ელლინთა ღმერ-  
 თს და მის თან პატიას სასწაული წერილისაგან უმრებოდათ.  
 წელის დანახვისათანავე ლათონა ტბისაჭინ გაემურა, მაგრამ,  
 დასე ლიკიელების გულეჭვაობას და შეუბრძლებლობას! ლა-  
 თონას არა თუ წელის დაღვეულის წება არ მიუჩის, ჰითიქოთ  
 მუქარით და ლაბძლვა-გრძებით თრუვა დაუწეუს. ბერძენთა  
 ღმერთამ თავაზიანი კილოთი შესხივდა ბრაზით მორულ  
 ლიკიელების: «არა დაგიძავეთ, რათ გვიკრძალავთ დამაშვ-  
 რალთ წელის სმას! წებლი სომ სასოგადო კუთვნი-  
 ლებაა ისე, როგორც ჭარი, მსე და სინათლე! ჩვენ სომ  
 ტბის ანგარძ წეალძი ბანაობა არ გაგვისრასავს! ჩვენ გვინ-  
 დოდა შოლოთ წებლი დაგველია: ლამის წერვილის შო-  
 რის გზით დაქანცულთ სიცოცხლე მოგვიხსოს! ჰითში ლანა-  
 რების ოლაჯი გვიწერება, ერთი ცვალი წებლი ჩვენთვის მა-  
 ცხონებელ ნუმტარით გარდიქვევა, სიცოცხლეს დაგვირუნების!  
 გმვარებით, თუ მე არა, ეს საცოდეა ემსწვილები მაინც  
 შეიცოდეთ! ხედავთ საწელები წერვილისაგან როგორ საცო-  
 დაზათ ჰვინვენ, როგორი მუდრობით მოუწოდით თქვენს კენ-  
 სამველათ ხელები!»

ლიკიელების გულეჭვაობა ვერც ამ თხოვნამ მოადგინა:  
 იგინი ისევ გაბრაზებით და საცოდეი მუქარით ერმებოდენ  
 ტბიდან საცოდავ ემსწვილების და მათ დაღლილ-დაქანცულ  
 მმობელს. სრულიად რომ მოესხოთ ლითონასათვის წელის  
 დაღვეულის განხრას, ლიკიელებმა შესტოაქს ტბის სიღრმე-

მი და ტბის ფეხერზე ნადები ტაღაბით ერთიანათ ამდვრი-  
ეს ანგარა წეალი. ლათონამ ასლა-კი ვერ მოითმინა, ადაპტ-  
რო უცას ხელები და ლოობიერათ შეთხოვა უცას: «მად-  
ლო დმერთო, გვედრები ეს სამარცხინო გმირები თავისი სა-  
ზისტარი მოქმედებისათვის სამუდამო დასტოვო ამ წე-  
შები!» ლათონას ვედრება სავსებით აღსრულდა.



ლიკიელები მართლაც ამ დღიდან წეალს არ მოშორე-  
ბიან და ტბის ცხოველების თითქო სასიამოვნოთაც დაუწიათ.  
ზოგჯერ ეს ვაჭატონები ჩაემატებიან წლის სიღრმეში, ზოგ-  
ჯერ სუმთა აძლიცურდებინ, ამოსკვერდებიან წლის ნაშინას  
და ისევ წეალში ჩაეჭებიან. მეელებური ჩამულება წეალშიაც  
კერ დაჭარუეს. მუდას ერთი უკორეს ლანძღვენ და ათოვენ.  
ასევე მსოფლიო სის გამოიცუადეს: უხეირთო და ულაზეთოთ  
დღე-დღე ჰეთინებენ წუმშები. სახე და შეხედულებაც გამოიც-  
ვდეს, კისერი დაუშნევილდეთ და დაუმოკლდეთ, ზურგი  
მწვდნე ზოლებით დაესკრათ, ხოლო მუცელი გაუშესვილდეთ  
და გაუთვერდეთ. დღესაც ეს გმირები ლიკის ტბის წუმშები  
იმბლებიან, ხოლო «ლიკიელების» მაგივრათ «ბაჟაუების»  
სახელს ატარებენ.

ა. ყუმისთაველი.



## გაზაფხული და საპურობილე.

**ყ**ველა ადებს ქარ-ფანჯარას,  
 მგებება გასაფხულსა;  
 ჰელა ტბება შიის სწილებით,  
 გრძნობს სიამე-სისარულისა!

მარტო ერთი სანერობილე,  
 ჩვეულებრივ, ჩაჭტილ,  
 თითქო მისთვის არ არსებობს  
 ეს შეკნებით სავსე დილ;

და კვლავ სახე ჩამოსტირის;  
 კვლავ საშინელ-საზარია:  
 მის მდგმურთათვის მზე არ ნათობს,  
 ისევ ისე წამთარია!...

ღურუ-მეგრელი.

## ბარლი და კატა.



**ჩ**იდი მეგობრობა ჰქონდათ  
ერთმანეთში ჩვენს კატასა  
და ძღვლის. ფისუნია და მურია  
უკველთვის ერთათ თამამობ-  
დენ, ერთი-მეორეს არა სცილ-  
დებოდენ. როცა მურია დასა-  
სვენებლათ წამოწვებოდა, ფი-  
სუა უთუთ იქმე უნდა გაჩენილიყო: შეჯდებოდა ზურგზე  
და მის რბილ ბალანსი სვრის ამოუმვებოდა. გველის უკ-  
ვირდა ამათი მეგობრობა და თან მოელოდენ, რომ ასეთი  
მეგობრები მაღა წაიკიდებოდენ. ერთხელ მურიას ნადირო-  
ბის დროს რადაც დაეჭვებია, და პატრონმა მთელი დღით  
სულიძი შეამწევდია. საბორდო მურიამ უმუილი მორთო, ცი-  
ცუნია განუწმენტლივ მიღიოდა სულასთან, კნაოდა და დი-  
დოთ მოწევილი დაღისხელისებოდა. სადილს შემდეგ, როცა  
ეველანი სხვა-და-სხვა თობებში გაფიდენ, ფისუა სტოლზე  
შეხტა, მოიტაცა ორი ნაჭერი სორცი, გაიქცა ბაღისაკენ და  
მიწაში ჩამარსა. მერმე მხიარულათ მიირბინა მურიას სულას-

თან და ისე შექმრუტუნებდა, თოთქო ის სასიამოვნო ამბავს ეუბნებოდა, თუ როგორ მოიხარა და შეინახა ჰირის სატყ-ბარუნო.

მურიაც საწევები ემფით თთქმო ჩასუსს აძლევდა. ემ-  
ფა-კნავილის საუბარძა პატრონის უკრავდება მიღეცა და  
მურია ხულიდან გამოუშება, რომ დაქნახა რა შეიარედებით  
შეხვდებოდენ ერთმანეთს. გამოვიდა თუ არა მურია, კატა და  
მაღლი თრივე ბაღისქენ გაექნენ. ფისუამ მურია იმ ად-  
გილს მიუვანა, სადაც ხორცი ჰქონდა ჩაძარხული და მე-  
გობრებმა ამ ხორცით პირი ჩაიგემრიელეს. ეს ისე ესიამოვ-  
ნა პატრონს, რომ კატის დასჯა სრულიად გადააფიქსირდა.

კან. იმერელი.



## ლედი ჯენ.

( ჯემისონის მოთხოვბა )

(გაცემული)

V

გედასახლებს.

**კ**ეთილი ბაეშების” ქუჩის მეორე გეერლზე, მადელანის სახლის პირ-და-პირ, იღვა ერთ სართულიანი, მაგრამ დიდი და მაღალი სახლი, რომელიც კაი ხანი ცარიფლი იყო. პეპსის ძალიან აწესებდა ეს გარემოება და ის მოუთმენლათ მოელოდა იმ დროს, როდესაც სახლს ეინმე დაიჭირდა და მას ახალი მეზობლები გაუჩნდებოდა. ერთ მშენიერ ზაფხულის დილას მის სიხარულს საზღარი არ ჰქონდა, როდესაც დაინახა, რომ მის ფანჯრის წინ გაჩერდა სამი ადამიანი, დიდხანს ათვალიერეს გარედან ცარიელი სახლი, მერე-კი მის კარებს მოუახლოედენ, შეაღეს და შეეიდენ შიგ. ეს სამი ადამიანი იყო ხნიერი, შევებით მორთული კოჭილი ქალი, რომელსაც ხელში ჯონი ეკავა, კარგათ ჩატარებული ყმაწევილი კაცი და ოქროსფერ თმიანი შშეენიერი პატარა ქალი შეიღლი. ამ უკანასკნელმა მაშინვე მიიქცია პეპსის ყურადღება, რადგანაც საშინლათ გაიჩიეოდა ყველა იმ ბაეშებისაგან, რომლებიც პეპსის თა-

ეს სიცოცხლეში ენახა; ბაეშის თეორი კაბა, შაეი აბრეშემის სარტ.  
 ყელი და ფართო კიდევბანი ჩალის შლიაპა—უველა ეს განსაკუთ-  
 რებული კოხტა იყო და საოცრათ უხდებოდა უერმისდილ და ნაზ  
 პატარა ქალს; ყოველი მისი გამოხედვა, ყოველი მიხერა-მოხე-  
 რა ძალა უნდოურათ იშიდავდა მაყურებლების ყურადღებას და მათ  
 თანაგრძნობას. პეპსიმ მაშინვე შენიშნა, რა გამხდარი და დასუსტე-  
 ბული იყო ბაეში, რა გამოუთქმელი მწუხარებით გამოიყურებოდენ  
 მისი დიდი, ლურჯი თვალები, რა ტანჯვა იხატებოდა მთელ მის  
 პატარა ნაზ სახეზე—და თვალი ვეღარ მოაშორა მას. შავე-  
 ბიან ქალს ხელი ეკიდა ბაეშისთვის; ბაეში ძლიეს ალგამდა ფეხებს,  
 ხშირათ ბორბიკობდა ახალი ნაავათმყოფარისავით და წამდაუწუმ უკან  
 იხედებოდა რაღაც ეიწრო და მაღალი კალათის დასთვალიერებ-  
 ლათ, რომელაც წითელ თმიან ყმაწევილ კაცს ეჭირა ხელში.

როდესაც სამიეკ სახლში შევიდენ—პეპსის თვალი აღარ მოუ-  
 შორებია შესავალ კარებისათვის; მას საშინლათ უნდოდა, ერთხელ  
 მაინც მოეკრა კიდევ თვალი მწუხარე და ლამაზ პატარა ქალიშეი-  
 ლისათვის. ის დარჩმუნებული იყო, რომ, დათვალიერებდენ თუ არა  
 სახლს, ყველა ისევ გარეთ გამოეიდოდენ, მაგრამ შეცდა; წითელ  
 თმიანმა ყმაწევილმა კაცმა სახლში ყველა უანჯრები გააღო და სა  
 ზოგადოთ ისე დაიჭირა თავი, თითქო თავის საკუთარ ბინაზე ყოფი-  
 ლიყოს. შავებიანმა ქალმა შაეი პირბადიანი შლიაპა მოიხადა და  
 ბაეშის ფართო კიდევბან შლიაპასთან ერთათ ლურსმანზე ჩამოჰკი-  
 და, უანჯრის მახლობლათ. პატარა ქალი-კი, რამდენსამე წმის შემ-  
 დეგ, განის. აივანზე გამოვიდა და იქ გაჩერდა; ხელში რაღაც ეკავა;  
 პეპსის უნდოდა გაეგო, რა იყო ეს რაღაც, მაგრამ თუმცა ძალიან  
 ბევრი იტრიალა თავის საერადელში, ძალიან ეცადა ზეეით წამო-  
 წეულიყო და გაერჩია უცნაური სავანი, რომელსაც ბაეში გულში  
 იხუტებდა—ეერაფრით ვერ მიაღწია თავის მიზანს.

— მგონი, კნუტი! — ბუტბუტობდა თავისთვის პეპსი. — ან და  
 პატარა ლეკეი! მაგრამ არა! არც ლეკეი! ფრინველი უნდა იყოს!

მგონი ფრთხებს აფთქრიალებს! მაგრამ რა ფრინველი უნდა იყოს ასეთი ახირებული მოყვანილობის? შერე რამხელა!

ამასობაში უპნობა ბაეში კიბის პირველ საფეხურზე ჩამოჯდა, სიყვარულით მიიხურა გულზე ფრინველი და მის ფრთხებს წაშათ სწორება დაუწყო.

— უთუათ იქირავეს ეს სახლი! — გადაწყვეტა პეპსიმ. — ღმერთო! რა ბედნიერი ეიქნები, თუ მართლა აქ დადგენ! — სიხარულით დაატანა მან.

ამ დროს ეტლის ხმაურობა მოისმა და სახლის შესავალ კარებთან დიდი ზანდუკებით მთლათ დატეირთული ფურგონი გაჩერდა. ამავე დროს პეპსის ოთახში „თაგუნა“ შემოვარდა; პატარა ზანგის ქალის სახეზედაც აღტაცება იხატებოდა; მეტი სიხარულით სიცილი ველარ შეეკავებინა და მისი შავი თვალები და საოცარი თეთრი კბილები მხიარულათ ელვარებდენ შავ სახეზე.

— მის \*! პიპ! მის პიპ! — სწრაფათ დაიწყო მან. — ჩეენ პირ-და-პირ რომ სახლია — კაქირავდა! დღეს გადმოდიან მდგმურები! შავე-ბიანი ქალი, ყმაწვილი კაცი და პატარა ბაეში. ბაეშის ყეითელი თმა აქვს და ხელში გრძელ-ფეხა ბატი უკავია. უთუოთ ძალიან უყვარს, სულ არ იცილებს!

— კაი, კაი, გეყოფა, „თაგუნა!“ — შეაწყვეტინა პეპსიმ, რომელიც გატაცებული იყო ფანჯარაში უურებით. — შენ გვინია, შენს შეტს თვალები ალავეიისა აქვს? მეც-კი ვხედავ, რომ მდგმურები გადმოდიან! წადი, ის გირჩეენია, სამზარეულო მიალაგე! საცაა, დედა დაბრუნდება!

— მიეალაგე, უველაფერი მიეალაგე, მის პიპ! — მიუგო „თაგუნამ\*“. — ის იყო დასასვენებლათ გამოვედი ქუჩაზე და დაეინახე, რომ ჩეენ კარების წინ რომ სკამეიკა — სულ მთლათ ერთიანათ გასერილია! არ შეიძლება, მის პიპ, ახლა გაერეცხო?

\* „მის“ ინგლისურათ ასალგაზდა ქადაგატონს ნიშნავს.



— კარგი! გარეცხე! — ღიმილით მიუგო პეპსიმ, რომელიც კარგათ მიხედა, რალა მაინც და მაინც ახლა მოაგონდა „თაგუნას“ სკამეიკის წმინდა.

